მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის ორივე განყოფილება მუშაობს შეუფერხებლად. დაკმაყოფილებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.	

25. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		120.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.

26. ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 01 02		**80.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება ანგარიშდება მომსახურების მიმწოდებლის ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებიდან. ხშირ შემთხვევავაში აღნიშნული ტარიფი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს, შესაბამისად პაციენტის თანაგადახდა ხშირად მეტია საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ თანხაზე პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის გადახდაში თანა4 მონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით: თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი. ხოლო თუ 70%-ზე ნაკლებია-დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფარული თანხის 25%. ამ ორივე შემთხვევაში პროგრამით გამოთვლილი თანხის დაფინანსებას ექვემდებარება 50 (ორმოცდაათი) ლარი და ზემოთ, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით 100%-ით დაფინანსების შემთხვევების თანადაფინანსებით, ასევე კერძო დაზღვევით დაფინანსებულთა თანადაფინანსება პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს საგარანტიო წერილის გაცემას, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ. საგარანტიო წერილის გასაცემად საჭიროა შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობა ფ.№100 და საყოველთაო დაზღვევის საგარანტიო წერილის ასლი, ან იმავე ინფორმაციის მატარებელი სხვა დოკუმენტი. დასაფინანსებელი თანხის ოდენობას განსაზღვრავს სოციალური კომისია, ხოლო საგარანტიო წერილს გასცემს მუნიციპალიტეტის მერი. იშვიათ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება გაწეული სამედიცინო მომსახურების შემდგომ არაუგვიანეს 3 თვის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით პაციენტის, ან მისი ოჯახის წევრის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.	

27. ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 01 03		**27.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის გარდა დამატებით საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას.ბენფიციართა შერჩევა ხდება სოციალური კომისიის მიერ ფსიქონარკოლოგიური დისპანსერიდან ყოველკვარტალურად მოწოდებული მონაცემების გათვალისწინებით ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სამედიცინო ფ. №100 და პირადი საბანკო ანგარიში. საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრის ან მეურვეობის შესაბამისი დოკუმენტაცია. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ	

	ბენეფიციარზე, ან მეურვეზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას. პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 45 ბენეფიციარზე.

28. თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		24.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართული არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და პროცედურის ჩასატარებლად სისტემატურად უწევთ გადაადგილება სხვა ქალაქში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი ფ№100 და პირადი საბანკო ანგარიში აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია, პროგრამა გათვალისწინებულია 20 ბენეფიციარზე (დიალოგის სხვადასხვა პერიოდში დაწყების გათვალისწინებით)		

29. მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დააავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		40.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც დაავადებული არიან იშვიათი დაავადებებით (გაფანტული სკლეროზი, სირინგომიელია, მოტონეირონთა დაავადება, ლეიკემია(ლეიკოზი), სისტემური სკლეროდერმი, პარკინსონის დაავადება, კუნთთა პროგრესული დისტროფია, აუტო იმუნური ჰეპატიტი და მუდმივად ან სისტემატურად საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტების მიღებას. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაავადების დამადასტურებელი მიმდინარე, ან წინა წლის ფ.№100, საჭირო მედიკამენტის მუდმივად, ან სისტემატურად საჭიროების მითითებით. პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. პროგრამა ითვალისწინებს: თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას, გარდა პარკინსონით დაავადებულებისა, პარკინსონით დაავადებულ პაციენტებზე კი ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას. აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.		

30. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 06		5.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან ასა-ს მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრისა და სხვა ლიცენზირებული დაწესებულებების ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელ ფ.№100, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთ-ერთი მშობლის პირადობის ასლს. აღნიშნული დოკუმენტების სოციალური კომისიის მიერ განხილვის საფუძველზე წელიწადში ერთხელ (ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში ორჯერ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობის დაფინანსებაზე არაუმეტეს 1000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.		

31. მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 02 01		**50.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოქალაქეებზე (ოჯახებზე), რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ, წელიწადში ერთხელ, ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას 50-დან 200-ლარამდე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში. აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარები გაწევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.		

32. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 02 02		**30.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით (ტყუპების შემენისას თანხის გაორმაგებით, ასევე გაორმაგდება მე-2 და მე-3 ბავშვის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იქნეს ახალშობილის დაბადებისა და ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის შესახებ დადასტურებული საჯარო რეესტრიდან. დაფინანსება მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 6 თვისა. ტყუპების შემენისას ასევე გაიცემა გაორმაგებით მე-2 და მე-3 ბავშვის შემთხვევაშიც.		

33. საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

პროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები (ომისა და შრომის ვეტერანები, პენსიონერები, 100 წელს გადაცილებული პირები და ა.შ.) აფხაზეთისა და რვა აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული საჯარო და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ოჯახები. სტატუსის შესაბამისად სხვადასხვა საზეიმო დღესთან დაკავშირებით ბენეფიციართა შერჩევას და თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ გასაცემი ფულადი და მატერიალური დახმარების ოდენობას განსაზღვრავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია ბენეფიციართა სიებისა და შესაბამისი მონაცემების მიღება ხდება მომსახურების სააგენტოდან ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერიის წარმომადგენლებიდან.		

34. მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		240.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი და წარმოადგენენ შვილების დაბადების მოწმობის ასლებს, მშობლების ქორწინების მოწმების ასლს – ასეთის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლს და პირად საბანკო ანგარიშის ნომერს. მრავალშვილიანი ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 ქულაზე დაბალია და 2019 წლის 1 იანვრიდან თითოეულ არასრულწლოვანზე სახელმწიფოს მიერ დაენიშნათ 50 ლარი, ყოველთვიურად გაიცეს 30 ლარი, ხოლო ოჯახებზე 100000-ზე მეტი სარეიტინგო ქულით თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცეს დახმარება 50 ლარის ოდენობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.		

35. შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და	პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 -ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არ არიან ასაკით პენსიონერები და წარმოადგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით – მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) და არიან სახლს (ეტლით მოსარგებლე), ან საწოლს მიჯაჭვული და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს. ასევე ჯანმრთელობის ფ.№100 მუდმივად მოვლის საჭიროების მითითებით, პირადობის მოწმობის ასლს, სარეიტინგო		

მიზანი	ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს, პირად საბანკო ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს და საბანკო ანგარიშს. დაფინანსება, ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე 100 ლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვით, მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოთვლილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ. პროგრამა გათვალისწინებულია 25 ბენეფიციარზე (პროგრამაში სხვადასხვა პერიოდში ჩართვის გათვალისწინებით).

36. დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 02 06		**10.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოდან წარმოადგენენ სტასუსის დამადასტურებელ დოკუმენტს, დაბადების მოწმობის ასლს, პირადობის მოწმობის ასლს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათზე მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მეურვის პირადობის მოწმობის ასლს და პირად ანგარიშს. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ დედ-მამით ობოლ ბავშვზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის დახმარების მეურვის პირად ანგარიშზე ჩარიცხვას. აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.		

37. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 02 08		**17.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებიდან მერიის მიერ მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართების დაქირავებით, (არაუმეტეს 200 ლარისა თვეში).		

38. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ძალადობის პრევენცია

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ძალადობის პრევენცია**	**დაფინანსება ათას ლარში**
	06 02 09		**1.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ფინანსური ხელშეწყობა ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით		

39. სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		2.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს არასაპენსიო ასაკის სტაციონალური მკურნალობის შემდგომ კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მხარდაჭერას, რომლებსაც მკურნალობა უგრძელდებათ ბინაზე და ხანგრძლივად საჭიროებენ მეთვალყურეობასა და ზრუნვას. წარმოდგენილი სამედიცინო ფორმა №100 საფუძველზე სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ამ კატეგორიის ოჯახზე ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი.		

40. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		80.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (ძირითადად ხანძარი) იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში მეწყერი, ქარბუქი, ღვარცოფი, კლდეზვავი, დენადი გრუნტი) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება. პოგრამის ფარგლებში განიხილება მხოლოდ საცხოვრებელი ფართის დაზიანება, ხანძრით დაზიანების გარდა იშვიათი გამონაკლისის სახით განიხილება აღნიშნული მოვლენების გამო არა მზარდად დაზიანებული, არამედ მოულოდნელად სტიქიის გამო საცხოვრებლის იმ დონით დაზიანება, რომ ის გამოუსადეგის საცხოვრებლად. დაზიანება პირობითათ იყოფა სამ კატეგორიად: 1) ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანება; 2) ერთსართულიანი კაპიტალური ან ხის სახლის სრული დაზიანება; 3) სახლის ნაწილობრივი დაზიანება. დაზარალებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის დასკვნა, სტიქიით დაზარალებულის ამსახველი ფოტომასალა, მუნიციპალიტეტის მერის წამომადგენლის შუამდგომლობა დაზარალებულის ახლო მეზობლების დამოწმებით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი, დაზარალებული პირის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ დახმარების გაწევაზე და გასაწევი თანხის ოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია. I კატეგორია – 15000 ლარამდე, II კატეგორია – 10000 ლარამდე III კატეგორია – 5000 ლარამდე. დახმარება გაეწევა მხოლოდ მიმდინარე წელს დაზარალებულ ოჯახებს.		

41. ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 01		10.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		

სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობით დადგენილი გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მასთან გათანაბრებული პირების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა და იძულებით გაადადგილებულ პირთა სარიტუალო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსებას. გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე გაიცემა 100 ლარის ოდენობის ფულადი დახმარება. სხვა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში – 250 ლარი. გარდაცვლილის ოჯახისა წევრმა უნდა წარმოადგინოს ცნობა გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდაცვლილის ოჯახის წევრის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.

42. უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 02		5.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური”		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.		

43. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 05		225.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ქ.წალენჯიხასა და ქ.ჯვარში 2 უმწეოთა სასადილოს მეშვეობით, ა(ა)იპ წალენჯიხის სათნოების სახლი ყოველდღიური ერთჯერადი კვებითი უზრუნველყოფის მიზნით ემსახურება 224 ბენეფიციარს, (112-ი ქ. წალენჯიხაში, 112-ი ქ. ჯვარში) ეტაპობრივად საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ბენეფიციარების შეცვლა ჯამურად 224 ბენეფიციარის ფარგლებში. ა(ა)იპ წალენჯიხის სათნოების სახლის მიერ ყოველი წლის დასაწყისში (ზოგჯერ შუალედურად) ხდება ბენეფიციარების სოციალური სარეიტინგო ქულების გადამოწმება წალენჯიხის სოციალური სააგენტოს მეშვეობით. ბენეფიციართა შერჩევა ხდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №106 განკარგულების საფუძველზე შემდეგი კრიტერიუმებით; იშვიათი გამონაკლისის გარდა ბენეფიციარი უნდა იყოს დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სოციალური სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000-ს,ბენეფიციართა შერჩევისას უპირატესობა ენიჭება; 1.საპენსიო ასაკს; 2.ოჯახში შრომისუუნარო წევრების (ინვალიდების) ყოლას; 3. დედმამით ობოლ ბავშვებს; 4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრებს; 5. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებს. იშვიათი გამონაკლისისის შემთხვევაში მერის წარმომადგენლებთან ქ. წალენჯიხასა და ქ.ჯვარში შეთანხმებით, მათი წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე ხდება იმ ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფაზე აყვანა, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ გააჩნიათ სოციალური სარეიტინგო ქულა, მაგრამ იმყოფებიან ცუდ ეკონომიკურ პირობებში ან არიან სოციალური სარეიტინგო ქულების დათვლის პროცესში. ბენეფიციართათვის სადღესასწაულო დღეებში (საახალწლოდ და საადგომოდ) განხორციელდება ერთჯერადი საჩუქრების გადაცემა.	

44. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 09		10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის გენდერული თანასწორობის საბჭო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის – ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშბოლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს ყველა გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.	

თავი III

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	12,931.4	18,123.4	14,912.2	5,980.3	8,931.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159.0	161.0	159.0	0.0	159.0
	ხარჯები	8,029.9	9,626.3	9,292.0	1,144.2	8,147.8
	შრომის ანაზღაურება	1,905.8	1,892.2	2,078.0	78.0	2,000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,621.8	8,359.1	5,440.8	4,836.1	604.7
	ვალდებულებების კლება	279.7	138.0	179.4	0.0	179.4

01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	3,180.4	3,076.2	3,236.0	130.0	3,106.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159.0	161.0	159.0	0.0	159.0
	ხარჯები	2,948.9	2,854.9	2,966.6	100.0	2,866.6
	შრომის ანაზღაურება	1,905.8	1,892.2	2,078.0	78.0	2,000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.1	83.3	90.0	30.0	60.0
	ვალდებულებების კლება	208.4	138.0	179.4	0.0	179.4
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,765.2	2,744.3	2,854.9	130.0	2,724.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159.0	161.0	159.0	0.0	159.0
	ხარჯები	2,592.1	2,661.0	2,764.9	100.0	2,664.9
	შრომის ანაზღაურება	1,905.8	1,892.2	2,078.0	78.0	2,000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.1	83.3	90.0	30.0	60.0
	ვალდებულებების კლება	150.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	664.1	688.0	710.0	0.0	710.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	32.0	32.0		32.0
	ხარჯები	658.1	687.0	710.0	0.0	710.0
	შრომის ანაზღაურება	439.0	445.6	480.0	0.0	480.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.0	1.0	0.0	0.0	0.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2,002.3	1,951.3	2,024.9	30.0	1,994.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	122.0	122.0	120.0		120.0
	ხარჯები	1,835.2	1,869.0	1,934.9	0.0	1,934.9
	შრომის ანაზღაურება	1,387.0	1,368.6	1,520.0	0.0	1,520.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17.1	82.3	90.0	30.0	60.0
	ვალდებულებების კლება	150.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	98.8	105.0	105.0	100.0	5.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0	7.0		7.0
	ხარჯები	98.8	105.0	105.0	100.0	5.0

	შრომის ანაზღაურება	79.8	78.0	78.0	78.0	0.0
01 01 03	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება	0.0	0.0	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	0.0	0.0	15.0	0.0	15.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	415.2	331.9	381.1	0.0	381.1
	ხარჯები	356.8	193.9	201.7	0.0	201.7
	ვალდებულებების კლება	58.4	138.0	179.4	0.0	179.4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	5.1	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	0.0	5.1	30.0	0.0	30.0
01 02 02	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	233.6	28.1	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	233.6	28.1	1.0	0.0	1.0
01 02 03	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	176.5	268.8	300.1	0.0	300.1
	ხარჯები	118.1	130.8	120.7	0.0	120.7
	ვალდებულებების კლება	58.4	138.0	179.4	0.0	179.4
01 02 04	სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	5.1	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	5.1	10.0	10.0	0.0	10.0
01 02 05	სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის და ტურიზმის ხელშეწყობა	0.0	20.0	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	0.0	20.0	40.0	0.0	40.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4,541.4	7,012.1	4,785.0	3,687.1	1,097.9
	ხარჯები	527.6	806.6	565.2	0.0	565.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,942.5	6,205.5	4,219.8	3,687.1	532.7
	ვალდებულებების კლება	71.3	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,016.8	3,823.2	3,140.4	2,656.4	484.0
	ხარჯები	75.1	14.5	25.0	0.0	25.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,870.4	3,808.7	3,115.4	2,656.4	459.0
	ვალდებულებების კლება	71.3	0.0	0.0	0.0	0.0

02 01 01	გზებისა და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია	2,016.8	3,823.2	3,115.4	2,656.4	459.0
	ხარჯები	75.1	14.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,870.4	3,808.7	3,115.4	2,656.4	459.0
	ვალდებულებების კლება	71.3	0.0	0.0	0.0	0.0
02 01 02	შიდა გზების და ხიდ-ბოგირების მოვლა-შენახვა	0.0	0.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	0.0	0.0	25.0	0.0	25.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	128.6	175.5	400.2	171.3	228.9
	ხარჯები	0.0	0.0	155.2	0.0	155.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128.6	175.5	245.0	171.3	73.7
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია	128.6	175.5	245.0	171.3	73.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	128.6	175.5	245.0	171.3	73.7
02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	0.0	0.0	155.2	0.0	155.2
	ხარჯები	0.0	0.0	155.2	0.0	155.2
02 02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	0.0	0.0	76.0	0.0	76.0
	ხარჯები	0.0	0.0	76.0	0.0	76.0
02 02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	0.0	0.0	79.2	0.0	79.2
	ხარჯები	0.0	0.0	79.2	0.0	79.2
02 03	გარე განათება	506.1	530.0	335.0	10.0	325.0
	ხარჯები	229.8	527.0	325.0	0.0	325.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	276.3	3.0	10.0	10.0	0.0
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	276.3	265.0	30.0	10.0	20.0
	ხარჯები	0.0	262.0	20.0	0.0	20.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	276.3	3.0	10.0	10.0	0.0
02 03 02	გარე განათების ექსპლოატაცია	229.8	265.0	305.0	0.0	305.0
	ხარჯები	229.8	265.0	305.0	0.0	305.0
02 03 02 01	გარე განათების ექსპლოატაცია ქ.	229.8	265.0	190.0	0.0	190.0

	წალენჯიხაში					
	ხარჯები	229.8	265.0	190.0	0.0	190.0
02 03 02 02	გარე განათების ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	0.0	0.0	115.0	0.0	115.0
	ხარჯები	0.0	0.0	115.0	0.0	115.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
02 04 01	ქ. წალენჯიხის ცენტრში არსებული ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟი	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	644.0	647.3	647.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	644.0	647.3	647.3	0.0
02 06	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	0.0	30.0	48.2	48.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	30.0	48.2	48.2	0.0
02 08	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და საპრევენციო ღონისძიებების დაფინანსება	1,889.9	1,809.4	153.9	153.9	0.0
	ხარჯები	222.7	265.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,667.2	1,544.3	153.9	153.9	0.0
03 00	გარემოს დაცვა	1,201.3	1,155.0	860.1	0.0	860.1
	ხარჯები	1,182.6	1,145.9	860.1	0.0	860.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.7	9.1	0.0	0.0	0.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,201.3	1,155.0	705.9	0.0	705.9
	ხარჯები	1,182.6	1,145.9	705.9	0.0	705.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.7	9.1	0.0	0.0	0.0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე	854.5	810.0	450.5	0.0	450.5
	ხარჯები	846.8	802.1	450.5	0.0	450.5

	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.7	7.9	0.0	0.0	0.0
03 01 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. ჯვარის ტერიტორიაზე	346.8	345.0	255.4	0.0	255.4
	ხარჯები	335.8	343.8	255.4	0.0	255.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11.0	1.2	0.0	0.0	0.0
03 02	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	0.0	67.5	0.0	67.5
	ხარჯები	0.0	0.0	67.5	0.0	67.5
03 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია	0.0	0.0	67.5	0.0	67.5
	ხარჯები	0.0	0.0	67.5	0.0	67.5
03 02 02 01	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	0.0	0.0	55.5	0.0	55.5
	ხარჯები	0.0	0.0	55.5	0.0	55.5
03 02 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	0.0	0.0	12.0	0.0	12.0
	ხარჯები	0.0	0.0	12.0	0.0	12.0
03 03	გამწვანების ღონისძიებები	0.0	0.0	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	0.0	0.0	60.0	0.0	60.0
03 03 01	გამწვანების ღონისძიებები ქ. წალენჯიხაში	0.0	0.0	55.0	0.0	55.0
	ხარჯები	0.0	0.0	55.0	0.0	55.0
03 03 02	გამწვანების ღონისძიებები ქ. ჯვარში	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
03 04	უპატრონო ცხოველების ოპერირება	0.0	0.0	26.7	0.0	26.7
	ხარჯები	0.0	0.0	26.7	0.0	26.7
03 04 01	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ წალენჯიხაში	0.0	0.0	19.7	0.0	19.7
	ხარჯები	0.0	0.0	19.7	0.0	19.7
03 04 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ. ჯვარში	0.0	0.0	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	0.0	0.0	7.0	0.0	7.0
04 00	განათლება	1,907.1	3,443.4	3,503.3	1,686.5	1,816.8
	ხარჯები	1,422.6	2,492.4	2,682.7	876.0	1,806.7

	არაფინანსური აქტივების ზრდა	484.5	951.0	820.6	810.5	10.1
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1,398.1	1,650.0	1,790.0	0.0	1,790.0
	ხარჯები	1,395.9	1,650.0	1,790.0	0.0	1,790.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.2	0.0	0.0	0.0	0.0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	482.3	431.0	221.1	211.0	10.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	482.3	431.0	221.1	211.0	10.1
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	26.7	38.0	16.7	0.0	16.7
	ხარჯები	26.7	38.0	16.7	0.0	16.7
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	804.4	876.0	876.0	0.0
	ხარჯები	0.0	804.4	876.0	876.0	0.0
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	0.0	520.0	599.5	599.5	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	520.0	599.5	599.5	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,163.7	1,418.8	1,169.2	67.3	1,101.9
	ხარჯები	1,012.2	1,122.0	1,100.0	0.0	1,100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	151.5	296.8	69.2	67.3	1.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	420.1	512.0	510.0	0.0	510.0
	ხარჯები	420.1	512.0	510.0	0.0	510.0
05 01 01	სპორტული ცენტრის დაფინანსება	226.4	250.0	250.0	0.0	250.0
	ხარჯები	226.4	250.0	250.0	0.0	250.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	193.7	262.0	260.0	0.0	260.0
	ხარჯები	193.7	262.0	260.0	0.0	260.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	694.1	876.8	619.2	67.3	551.9
	ხარჯები	542.6	580.0	550.0	0.0	550.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	151.5	296.8	69.2	67.3	1.9
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	421.5	430.0	400.0	0.0	400.0

	ხარჯები	410.5	430.0	400.0	0.0	400.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	134.0	150.0	150.0	0.0	150.0
	ხარჯები	132.1	150.0	150.0	0.0	150.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.9	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 03	კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	138.6	296.8	69.2	67.3	1.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	138.6	296.8	69.2	67.3	1.9
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	49.5	30.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	49.5	30.0	30.0	0.0	30.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	937.5	2,017.9	1,358.6	409.4	949.2
	ხარჯები	936.0	1,204.5	1,117.4	168.2	949.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.5	813.4	241.2	241.2	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	265.6	1,152.6	537.2	341.2	196.0
	ხარჯები	265.6	339.2	296.0	100.0	196.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	813.4	241.2	241.2	0.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	125.9	129.0	120.0	100.0	20.0
	ხარჯები	125.9	129.0	120.0	100.0	20.0
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	87.7	120.0	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	87.7	120.0	80.0	0.0	80.0
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	23.6	24.5	27.0	0.0	27.0
	ხარჯები	23.6	24.5	27.0	0.0	27.0

06 01 04	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	16.1	22.3	24.0	0.0	24.0
	ხარჯები	16.1	22.3	24.0	0.0	24.0
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	12.4	36.2	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	12.4	36.2	40.0	0.0	40.0
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	0.0	4.4	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	4.4	5.0	0.0	5.0
06 01 07	„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება	0.0	2.8	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	2.8	0.0	0.0	0.0
06 01 08	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიოტაცია	0.0	813.4	241.2	241.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	813.4	241.2	241.2	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	449.7	407.4	410.0	0.0	410.0
	ხარჯები	449.7	407.4	410.0	0.0	410.0
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	68.5	56.5	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	68.5	56.5	50.0	0.0	50.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	36.2	26.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	36.2	26.0	30.0	0.0	30.0
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	10.9	35.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	10.9	35.0	30.0	0.0	30.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	300.1	241.0	240.0	0.0	240.0
	ხარჯები	300.1	241.0	240.0	0.0	240.0
	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების					

06 02 05	მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	14.4	24.9	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	14.4	24.9	30.0	0.0	30.0
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	9.5	10.2	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	9.5	10.2	10.0	0.0	10.0
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	3.1	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	3.1	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	7.0	12.2	17.0	0.0	17.0
	ხარჯები	7.0	12.2	17.0	0.0	17.0
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება	0.0	0.4	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	0.0	0.4	1.0	0.0	1.0
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	0.0	1.2	2.0	0.0	2.0
	ხარჯები	0.0	1.2	2.0	0.0	2.0
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	3.0	98.7	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	3.0	98.7	80.0	0.0	80.0
06 04	სარიტუალო მომსახურება	4.9	6.1	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	4.9	6.1	15.0	0.0	15.0
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	4.9	6.1	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	4.9	6.1	10.0	0.0	10.0
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი.	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	214.4	220.0	225.0	0.0	225.0
	ხარჯები	212.9	220.0	225.0	0.0	225.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.5	0.0	0.0	0.0	0.0

06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	0.0	128.6	68.2	68.2	0.0
	ხარჯები	0.0	128.6	68.2	68.2	0.0
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“-2014 თანადაფინანსება	0.0	4.5	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	0.0	4.5	6.0	0.0	6.0
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	0.0	0.0	7.2	0.0	7.2
	ხარჯები	0.0	0.0	7.2	0.0	7.2
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	0.0	10.0	0.0	10.0

თავი IV

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 17

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 18

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 19

2020 წლის განმავლობაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 20

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 23

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2020 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 24

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 25

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 200,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 100,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 26

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 30,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის

მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**